განრიგი 1

პროექტის აღწერა

პროექტის ამოცანაა მუნიციპალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის ეფექტიანობისა და საიმედოობის სრულყოფა, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ტურიზმთან დაკავშირებული ადგილობრივი ეკონომიკის მხარდასაჭერად.

პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

<u>ნაწილი 1:</u> <u>ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში</u>

(ა) გრანტის ბაზაზე შერჩეული ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის (LSGs) თანხების გამოყოფა სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, რათა მოხდეს ურბანული აღდგენისა და ტურისტული მარშრუტის განვითარების საინვესტიციო ქვეპროექტების დაფინანსება ძველი ქალაქებისა და სოფლების ურბანული აღდგენისათვის, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შენობათა ფასადების და სახურავების, საჯარო ადგილების, მუზეუმების, გზების და წყლის მიწოდების სისტემის აღდგენით, და ასევე კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების გაუმჯობესებით (ამ ძეგლების ხელმისაწვდომობისა და გაცნობის ჩათვლით).

(ბ) გრანტის ბაზაზე შერჩეული ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის (LSGs) თანხების გამოყოფა საჯარო ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ქვეპროექტების განსახორციელებლად-კერძო სექტორის ინვესტიციების მოსაზიდად სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ტურიზმისა და აგრობიზნესის სფეროებში, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება გზების, ფეხით მოსიარულეთა ბილიკების და წყალმომარაგების, კანალიზაციის სისტემების, კომუნიკაციისა და საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობით.

<u>ნაწილი 2:</u> <u>ინსტიტუციონალური განვითარება</u>

საქონლის, არასაკონსულტაციო მომსახურების, საკონსულტაციო მომსახურებისა და ტრეინინგების, ასევე საოპერაციო ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP), საქართველოს ეროვნული მუზეუმის, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისა და სხვა დაინტერესებული ადგილობრივი და რეგიონალური ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად შემდეგი საქმიანობების განხორციელება:

(ა) დანიშნულების მართვის ოფისის შექმნა სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის თითოეულ რეგიონში, ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად, რათა უზრუნველყოფილი იქნას სათანადო მიზანმიმართული მართვა, საჯარო-კერძო-პარტნიორობა და თითოეულ რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების მდგრადობა.

(ბ) სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის თითოეულ რეგიონში მარკეტინგისა და წახალისების მექანიზმების განვითარება და განხორციელება, რათა მოხდეს თითეული რეგიონის, როგორც ახალი მდგრადი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარება და საზოგადოებრივი ჩართულობის, აქციონერთა კონსულტაციის და ადგილობრივი მთავრობის ჩართულობის ხელშეწყობა რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის.

(გ) პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ადგილების მდგრადი მართვის გეგმების მომზადება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის, ასევე სამუშაო სწავლებები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის.

(დ) ტრეინინგები კვალიფიციური მუშახელისა და შერჩეულ ბენეფიციართა შესაძლებლობების განვითარებისათვის (სასტუმროს პერსონალი, ტურ-ოპერატორები და გიდები, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP), ეროვნული მუზეუმისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) ოფიციალური პირები), რომელიც მიზნად ისახავს ინტეგრირებული სამუშაო ძალის განვითარების პროგრამის შექმნას, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ტურისტული ბიზნესის სფეროში საჭირო კვალიფიციური სამუშაო ძალის შექნისათვის.

(ე) NACHP-ისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება, რომელიც მიზნად ისახავს (i) მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა საძიებო გეგმის მოსამზადებელი პროცესის ზედამხედველობას, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად; (ii) საკონსულტაციო მომსახურების შექმნა საქართველოსათვის, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა წინასწარი სიის შესახებ და NACHP-ისთვის დახმარების გაწევა ამ სიის ჩანაწერთა მომზადებაში; (iii) NACHP-ისათვის სამუშაო შესაძლებლობათა განვითარების უზრუნველყოფა და მუნიციპალიტეტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციისა და ადგილების მართვის გეგმების მიწოდება; და (iv) კულტურული მემკვიდრეობის, როგორც უნიკალური ტურისტული პროდუქტის შექმნის ხელშეწყობა, როგორც ეროვნული ტურისტული სტრატეგიის ასევე გლობალური აბრეშუმის გზის ინიციატივათა ფარგლებში (ინიციატივა, რომელსაც ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია ისტორიული აბრეშუმის გზის განახლებისათვის).

(ვ) ტურიზმის სფეროსა და აგრობიზნესის მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის (SMEs) - ბიზნესის დამწყები/გამაფართოებელი საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება, მათი ბიზნეს შესაძლებლობების გასაძლიერებლად და ადგილობრივ და ეროვნულ ფინანსურ ინსტიტუტებთან საკრედიტო ურთიერთობებისთვის.

(ზ) სამცხე - ჯავახეთისა და მცხეთა - მთიანეთის რეგიონების ტურისტულ სექტორში შესრულების მონიტორინგისა და საქმიანობის შეფასების შესაძლებლობათა გაძლიერება (რომელიც მოიცავს ყოველწლიური კვლევების დიზაინის შექმნასა და განხორციელებას, რათა მოხდეს ვიზიტორების რიცხვის, მათი აქტივობებისა და კმაყოფილების დონეების განსაზღვრა, ასევე საბაზისო მონაცემების შეგროვება ფორმალური და არაფორმალური ტურისტული ორგანიზაციებისაგან) და გზების მოძიება მიღწევების ეფექტურობის მონისტორინგისათვის და ასევე ყოველწლირად პროექტის შედეგების მონიტორინგის ინდიკატორების წარმოდგენა.

(თ) პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა საზოგადოებრივი ცნობიერების კამპანიების, პოტენციური საინვესტიციო ქვეპროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მომზადების, დიზაინის, სამშენებლო ზედამხედველობისა და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.